



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი: 31.31220961

თარიღი: 06/04/2022

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ოქმი N6

ქ. ლანჩხუთი

25. 03. 2022 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ია ჩხაიძე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს და მიმართა დარბაზში მყოფთ წუთიერი დუმილით პატივი მიეცათ ოქმი დაღუპული ადამიანების ხსოვნისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენოსანი ზაზა სულაბერიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში თავისუფლების ქუჩის მიმდებარე ქუჩისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

3. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ია ჩხაიძე/

4. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

5. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

6. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

7. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „სსიპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენოსანი ზაზა სულაბერიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ**. მან განმარტა, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს მე-80 მუხლისა და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების მე-4¹ მუხლის შესაბამისად, განსახილველად გეგზავნებათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ლანჩუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მ/წლის 27 იანვრის MES 7 22 0000076014 მომართვა და თანდართული მასალები სსიპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის

სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლისთვის ზაზა სულაბერიძის სახელის მინიჭების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის **ემზარ თევდორაძის** თქმით, ეს ფაქტი ნამდვილად მისასალმებელია და იქვე აღნიშნა, რომ ასევე აპირებენ აკეთის სკოლისთვის 1993 წელს ტამიშის ბრძოლაში დაღუპული ზაზა ჩხაიძის სახელის მინიჭებას, რასთან დაკავშირებითაც დაწყებულია შესაბამისი პროცედურები.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** თავის მხრივ აღნიშნა, რომ ასევე შემოსულია ქალაქის მოსახლეობის ერთობლივი წერილი მე-3 საჯარო სკოლისთვის გმირულად დაღუპული ვაჟა თოდუას სახელის მინიჭების შესახებ, რასთან დაკავშირებითაც მოსაზრებამ საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სხდომაზეც გაიჟღერა.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ ფრაქციამ ერთსულოვნად დაუჭირა აღნიშნულ საკითხს მხარი. ამასთან, კარგი იქნება, თუ სოფელ ჩიბათის სკოლის ეზოში გაკეთდება ზაზა სულაბერიძის ბიუსტი ან მემორიალური დაფა, რისი ფინანსური უზრუნველყოფაც მოხდება მუნიციპალიტეტის მიერ. ასევე, დიდი ხანია დაწყებულია მსჯელობა გაგურის სკოლისთვის - ზაზა ჩხაიძის, N3 საჯარო სკოლისთვის - ვაჟა თოდუას და წყალწმინდის სკოლისთვის - დათო რამიშვილის სახელის მინიჭების თაობაზე. მან იქვე აღნიშნა, რომ სოფელ გვიმბალაურში მოუწესრიგებელია ჯამბულათ ზოფერიას სახელობის სკვერი. მისი თქმით, სკვერის მოვლა-პატრონობაზე ვინმე აუცილებლად უნდა იყოს პასუხისმგებელი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N10 (25.03.2022)**

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში თავისუფლების ქუჩის მიმდებარე ქუჩისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების შესახებ ისაუბრა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ**. მან განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ მე-10 მუხლის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არსებულ თავისუფლების ქუჩის II ჩიხს მიენიჭოს ქუჩის სტატუსი. ასევე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში თავისუფლების ქუჩის მიმდებარედ არსებულ ქუჩას ეწოდოს დარეჯან ქინქლაძის სახელი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N11 (25.03.2022)**

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად

ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააგნო მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ია ჩხაიძემ. მან განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

ა) დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.“

ბ) დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესი, დანართის შესაბამისად.“

გ) დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესი“

დ) დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის“ 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი არეგულირებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრულ - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ხელშეწყობის; სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან - განათლების, კულტურის და სპორტის სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების დაჯილდოების, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების დაფინანსების მიზნით, თანხის გაცემის წესს.“

ე) დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის“ მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. გამარჯვებული გუნდის ან/და ინდივიდუალური მონაწილის დაჯილდოება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ ორგანიზებული - საგანამანთლებლო, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების მონაწილე გამარჯვებული გუნდისა და ინდივიდუალური მონაწილის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) გუნდი: I ადგილი - 500 ლარი; II ადგილი - 300 ლარი; III ადგილი - 200 ლარი;

ბ) ინდივიდუალური მონაწილე: I ადგილი- 300 ლარი; II ადგილი - 200 ლარი; III ადგილი - 100 ლარი.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2022 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს წევრის **ჯუმბერ ბლაგიძის** განცხადებით, პირველ რიგში უერთდება და თანადგომას უცხადებს უკრაინელ ხალხს. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ ფრაქციამ „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ ცვლილებებს. მაგრამ იქვე შენიშნა, რომ მუნიციპალიტეტს ჰყავს ევროპის ჩემპიონი ჭიდაობაში და მათი აზრით, ჯილდოს სახით 500 ლარი ასეთი სიტუაციებისთვის ძალიან მცირე თანხაა. საკრებულოს წევრს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ შესაძლებლობიდან გამომდინარე, გათვალისწინებული იქნას მუნიციპალიტეტის მიმდინარე ან მომავალი წლის ბიუჯეტში ასეთი სასახელო ადამიანებისთვის ფინანსური ჯილდოს რაოდენობის გაზრდა. ამასთან დაკავშირებით მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ მან ისაუბრა სამსახურის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე. რაც შეეხება ევროპის ჩემპიონს, ჯილდოს სახით, მიიღებს 800 ლარს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N12 (25.03.2022)**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მისი განმარტებით, განსახილველად წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშების წესი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

მუხლი 1. რეგულირების საგანი

1. ეს წესი „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანების საფუძველზე განსაზღვრავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ (შემდგომში – „სამსახურში“) თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას მკაცრი აღრიცხვის ფორმის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშების სამართლებრივ მექანიზმებს.

2. სამსახურში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენება და აღრიცხვა-ანგარიშება ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესის საფუძველზე.

მუხლი 2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა, ფორმებით მომარაგება, გაცემა და დაბრუნება

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს აქვს ინდივიდუალური ნომერი და წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის ფორმას.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების წარმოების, ორგანიზებისა და ფორმებით მომარაგებას ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ სათანადო წესით უფლებამოსილი პირი.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმას „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრაციისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი/სათანადოდ უფლებამოსილი პირი წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს განცხადების (წერილის) საფუძველზე, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლში მითითებულ მოთხოვნებს;

ბ) ინფორმაციას მკაცრი აღრიცხვის ფორმის სახელწოდებისა და მიზნობრივი დანიშნულების შესახებ;

გ) რეგისტრაციისათვის წარმოდგენილი მკაცრი აღრიცხვის ფორმის ნიმუში გაყალბებისაგან დამცავი ყველა ნიშნის აღნიშვნით;

დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დასკვნას მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნიმუშის (პროექტების) შეთანხმების თაობაზე, შესაბამის ნიმუშთან (პროექტთან) ერთად;

ე) მკაცრი აღრიცხვის ფორმაზე აღნიშნული უნდა იყოს ფორმის დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს და დამკვეთის სახელწოდება ინიციალებით, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინიციალები „სფს რეგისტრაციის №“.

4. მკაცრი აღრიცხვის ფორმები (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები) ინახება სპეციალურად გამოყოფილ და სათანადოდ დაცულ ადგილას.

5. სათანადო წესით უფლებამოსილი პირის მიერ ოქმების გაცემა, დაბრუნება და გაუქმება აღირიცხება შესაბამის ჟურნალში.

მუხლი 3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსება და საქმის წარმოება

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს სათანადოდ უფლებამოსილი პირი ადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული, თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული სამართალდარღვევის ფაქტების გამოვლენისას.

2. ოქმი დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან:

ა) ერთი – საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობებთან ერთად დაუყოვნებლივ ეგზავნება განხილვაზე უფლებამოსილ პირს (ორგანოს) და ერთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს;

ბ) მეორე – ბარდება სამართალდამრღვევს შესაბამისი ხელის მოწერით ოქმის ეგზემპლარის ჩაბარების შესახებ, თუ სამართალდამრღვევი ესწრება ოქმის შედგენას;

გ) მესამე – რჩება ოქმის შემდგენელთან.

3. ოქმი ივსება მუქი ფერის ბურთულიანი კალმით. ოქმში ყველა ჩანაწერი კეთდება გარკვევით, დაუშვებელია გადახაზვა, გადაფხევა, გადაშლა და ა.შ. ოქმის დაზიანების ან მასში არასწორი მონაცემების შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი ოქმი, ძველი გადაიხაზება ჯვარედინად, რომელსაც ოქმის შემკვები, მოხსენებითი ბარათით, გაუქმების მიზეზების მითითებით, აბარებს ოქმის გამცემს (აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირს).

4. ოქმის შედგენისას დამრღვევს უნდა განემარტოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლება-მოვალეობანი, რაც აღინიშნება ოქმში.

5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში აღინიშნება:

ა) ოქმის შედგენის ადგილი და თარიღი;

ბ) ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი და გვარი;

გ) მონაცემები სამართალდამრღვევის შესახებ – სახელი, გვარი, მისამართი, პირადი ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში მისი დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და სხვა პირადი მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი, ნორმატიული აქტის დასახელება, რომელიც იქნა დარღვეული;

ე) ნორმატიული აქტი (ნორმაზე მითითებით), რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის;

ვ) მოწმეთა ან/და დაზარალებულთა სახელები, გვარები და მისამართები, თუ ასეთები არიან;

ზ) სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება;

თ) საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები.

6. ოქმს ხელს აწერენ მისი შემდგენი და სამართალდამრღვევი. თუ არიან მოწმეები და დაზარალებულები, ოქმს ხელი შეიძლება მოაწერონ ამ პირებმაც.

7. იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, ოქმის შემდგენის მიერ ოქმის შენიშვნის გრაფაში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

8. სამართალდამრღვევს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმზე დასართავი ახსნა-განმარტებები და შენიშვნები ოქმის შინაარსის გამო, აგრეთვე ჩამოაყალიბოს ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

9. ოქმი, მისი შედგენიდან დაუყოვნებლივ, ეგზავნება იმ ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე.

10. ოქმის შემდგენი და საქმის განმხილველი ორგანო ვალდებული არიან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 270-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან ან/და დადგენილების გამოტანიდან 10 დღის ვადაში აცნობონ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს (ერთიან საინფორმაციო ბანკს).

მუხლი 4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა რეგისტრაცია

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის მონაცემები

შეიტანება „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების რეგისტრაციის ჟურნალში (დანართი №3) (შემდგომში – რეგისტრაციის ჟურნალი) შესაბამისი გრაფების შევსებისა და საქმის რეგისტრაციის ნომრის დაფიქსირების გზით.

2. რეგისტრაციის ჟურნალი იწარმოება სამსახურში, ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი პასუხისმგებელი პირის მიერ.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები ექვემდებარება აუცილებელ რეგისტრაციას რეგისტრაციის ჟურნალში მათი შედგენიდან (გამოტანიდან) სამი სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 5. რეგისტრაციის ჟურნალის შევსების წესი

1. რეგისტრაციის ჟურნალის პირველ და მეორე გრაფაში შეიტანება საქმის რიგითი ნომერი და რეგისტრაციის თარიღი.

2. მე-3-მე-10 გრაფებში მიეთითება მონაცემები სამართალდარღვევის ჩამდენი პირის შესახებ: ფიზიკური პირის შემთხვევაში – გვარი, სახელი, მისამართი, საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი; იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი, უფლებამოსილი წარმომადგენლის გვარი, სახელი, თანამდებობა, საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში – პასპორტის ნომერი და მოქალაქეობა.

3. მე-11-მე-14 გრაფებში მიეთითება მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის თაობაზე.

4. მე-15-21-ე გრაფებში მიეთითება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების თაობაზე.

5. 22-ე გრაფაში მიეთითება მონაცემები გადახდილი ჯარიმის თაობაზე.

6. 23-ე გრაფაში მიეთითება ინფორმაცია დანაშაულის ნიშნების არსებობის თაობაზე.

7. თუ ოქმი იგზავნება სასამართლოში განსახილველად, 24-ე გრაფაში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა, ხოლო მე-15-23-ე გრაფები არ ივსება.

მუხლი 6. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის ფორმების ჩამოწერა

1. ოქმის ფორმების ჩამოწერა შეიძლება:

ა) ოქმის შედგენის დროს დაშვებული შეცდომის გამო;

ბ) ოქმის ფორმების ფიზიკური დაზიანების გამო;

2. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის ფორმების ჩამოწერა უნდა მოხდეს „გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების ჩამოწერის შესახებ აქტის (დანართი 5) (შემდგომში – ჩამოწერის აქტი) შედგენით, რომელშიც აუცილებლად უნდა მიეთითოს გამოსაყენებლად უვარგისი (ჩამოწერილი) ოქმის ფორმების ინდივიდუალური ნუმერაცია.

3. ჩამოწერილი ოქმის ფორმების უტილიზაცია ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ექსპერტიზა-უტილიზაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/344 ბრძანების შესაბამისად.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრებს მიეწოდათ მასალა მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2020- 2022 წლებში დაკისრებული ჯარიმების თაობაზე. მან უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჯარიმების სახით შემოსულ თანხაში აღნიშნული სამსახურის უშუალო ჩარევის შედეგად შემოსული ფინანსების ხვედრითი წილი ძალიან მცირე და უმნიშვნელოა.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინამდებელი არც სერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N13 (25.03.2022)**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ შპს ფეხბურთის კლუბმა „ლანჩხუთის გურია“ მიმდინარე წლის 7 მარტს მუნიციპალიტეტის მერიას მომართა N01-070322 წერილით 250000 ლარის დაფინანსების გამოყოფის თაობაზე. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური თანახმაა გამოიყოს 200000 ლარი მიზნობრიობის განსაზღვრით. დაფინანსების უზრუნველყოფა განხორციელდეს არაფინანსური აქტივების კლების ხარჯზე.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ასევე აღნიშნა, რომ სოფლის მხრდაჭერის პროგრამების დაფინანსების მიზნით საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 15 თებერვლის N277 განკარგულების საფუძველზე მუნიციპალიტეტს გამოეყოფა 748 000 ლარი. გარდა ამისა, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრს საქონელი და მომსახურების მუხლის 4000 ლარით შემცირების ხარჯზე გაეზარდოს არაფინანსური აქტივები 4000 ლარით, რაც აღნიშნულ ა(ა)იპ-ის ესაჭიროება ბუნებრივი აირით გათბობის მოწესრიგებისთვის. ასევე, ა(ა)იპ კეთილმოწყობის და მომსახურების ცენტრის დასუფთავების და ნარჩენების განყოფილების საქონელი და მომსახურების მუხლის 6000 ლარით შემცირების ხარჯზე მოხდეს არაფინანსური აქტივების 6000 ლარით ზრდა.

აღნიშნული საბიუჯეტო ღონისძიებების ასახვის მიზნით ბიუჯეტში ცვლილებასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ ფრაქციამ მოითხოვა შესწავლილი იქნას არა მარტო ლანჩხუთის „გურიას“-თან, არამედ ზოგადად, ფეხბურთთან დაკავშირებული ხარჯების მიზნობრიობა. აქედან გამომდინარე, ფრაქციის თავმჯდომარე დაინტერესდა, მერიის რომელ სამსახურს უნდა მიმართონ თანამშრომლობისთვის, რათა მათთვის საჭირო და საინტერესო საკითხებზე მიიღონ სათანადო მასალები და ამომწურავი პასუხები.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** პირველ რიგში თანადგომა და სოლიდარობა გამოხატა უკრაინელი ხალხისადმი. ასევე, მწუხარება და თანაგრძნობა გამოთქვა უკრაინის ომში ქართველი მეომრების დაღუპვის გამო. ამის შემდეგ, საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილეს განუმარტა, რომ ფინანსებთან დაკავშირებით შეუძლიათ მიმართონ მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, სხვა საკითხებთან მიმართებაში კი - მერიის აუდიტის სამსახურს ან მერიის ნებისმიერ სამსახურს, რომელიც კურირებს ამ საკითხებს, ხოლო კონკრეტულად ფეხბურთთან დაკავშირებული თემების შესახებ ინფორმაციისთვის უნდა

მიმართონ მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და აუდიტის სამსახურს, ასევე ადგილობრივი გუნდების ხელმძღვანელობას. რაც შეეხება საქართველოს ფეხბურთის განვითარების ფონდიდან გამოყოფილ თანხებს, მათ მერიის სამსახურები საერთოდ ვერ განაგებს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N14 (25.03.2022)**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააყენა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ**. მან განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ შეტანილ იქნა შემდეგი სახის ცვლილებები:

1. 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საკრებულო შედგება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული 18 წევრისაგან და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული 9 წევრისაგან.
2. მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
ბ) საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის და თავმჯდომარის მოადგილეების არჩევა და თანამდებობიდან გადაყენება;

3. მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- გ) საკრებულოს კომისიის შექმნა; კომისიის თავმჯდომარის არჩევა და თანამდებობიდან გადაყენება; ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრა და დამტკიცება, კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღება; კომისიის დებულების დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა;
1. მე-3 მუხლის მე-10 პუნქტს „დ“ პუნქტის შემდეგ დაემატოს:

ე) მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმის დამტკიცება; ვ) მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქარსაფარ (მინდორდაცვით) ზოლში სპეციალური დანიშნულებით ჭრის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცება.

5. მე-3 მუხლის შემდეგ დაემატოს 3 1 და 3 2 მუხლები:

მუხლი 3 1 . საკრებულოს საქმისწარმოება.

1. საკრებულოში ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოება.

2. ელექტრონული დოკუმენტბრუნვა საკრებულოში ხორციელდება „სასაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის №64 დადგენილების შესაბამისად.

3. ელექტრონული დოკუმენტბრუნვა ხორციელდება ა(ა)იპ – მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს „ელექტრონული მმართველობის ერთიანი სისტემა – MSDA-ს მეშვეობით.

4. საკრებულოს საქმისწარმოებაში გამოყენებული ელექტრონული დოკუმენტების სახეები, მათი გაფორმების სტანდარტები განისაზღვრება ხორციელდება ა(ა)იპ – მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს „ელექტრონული მმართველობის ერთიანი სისტემა – MSDA-თი“.

5. საკრებულოს ელექტრონულ საქმისწარმოებას დადგენილი სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.
- მუხლი 3 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება
1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია ერთიანი საქმისწარმოების პროგრამაში სწორი და უტყუარი მონაცემების აღრიცხვის და თავისი ფუნქციების შესრულების, მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიიღოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან პერსონალური მონაცემები.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პერსონალურ მონაცემებში იგულისხმება:
- ა) სახელი; ბ) გვარი; გ) პირადი ნომერი; დ) დაბადების თარიღი; ე) სქესი; ვ) მოქალაქეობა; ზ) ინფორმაცია პირის მისამართზე რეგისტრაციის შესახებ; თ) ინფორმაცია საქართველოში კანონიერად ყოფნის საფუძვლის შესახებ; ი) ფოტოსურათი.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად.
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ვალდებულია საქმისწარმოების პროგრამაში ცალკეული ფუნქციების გათვალისწინებით განსაზღვროს მონაცემთა გონკრეტული მოცულობა.
- 5-4. მუხლის მიზნებისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო მონაცემთა დამუშავებას ახორციელებს უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

6. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 4. საკრებულოს ადგილსამყოფელი და ოფიციალური სიმბოლიკა;

1. საკრებულოს ადგილსამყოფელია ქალაქი ლანჩხუთი, კოსტავას ქუჩა №37.

2. საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, კომისიების, დროებითი სამუშაო ჯგუფებისა და ფრაქციების სხდომები ტარდება საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში. ობიექტური გარემოების არსებობისას, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, საკრებულოს საქმიანობა შეიძლება წარიმართოს დისტანციურად, სათანადო ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, აგრეთვე საკრებულოს მიერ სხდომის სხვ ადგილას ჩატარება დაიშვება საკრებულოს განკარგულებით ან საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, ამ რეგლამენტის 58-ე მუხლით დადგენილი წესით.

3. დისტანციურად, სათანადო ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით საკრებულოს საქმიანობა წარიმართება ამ რეგლამენტით გათვალისწინებული პრინციპების დაცვით, ასევე შესაბამისი პროცედურების მიზნებისა და არსის შენარჩუნებით.

4. საკრებულოს შენობაზე, აგრეთვე იმ ადგილზე სადაც იმართება საკრებულოს სხდომა აღმართული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო დროშა. საკრებულოს შენობაში საქართველოს სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის სიმბოლოები გამოიყენება „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებთან ერთად სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების აღმართვის, გამოფენის და გამოსახვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ივნისის N282 დადგენილებით.

7. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. სხდომათა დარბაზის პრეზიდენტში ადგილს იკავებენ საკრებულოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე და თავმჯდომარის მოადგილეები.

8. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ე) (გარდა საკრებულოს თავმჯდომარისა) იყოს საკრებულოს ერთი კომისიის, მაგრამ არაუმეტეს ორი კომისიის შემადგენლობაში; საკრებულოს თავმჯდომარეს უფლება აქვს იყოს საკრებულოს კომისიის/კომისიების შემადგენლობაში, მაგრამ ჯამში არაუმეტეს ორისა;

9. მე-13 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5) საკრებულოს წევრის მიერ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის

ბიუჯეტიდან საკრებულოს წევრებს აუნაზღაურდებათ, რომლის ზღვრული ოდენობაა თვეში - _____ ლარი.

10. მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საკრებულოს თანამდებობის პირები არიან:

ა) საკრებულოს თავმჯდომარე; ბ) საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე; გ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; 6 დ) საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები; ე) საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეები; ვ) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე.

11. მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5. საკრებულოს სხდომას, რომელიც იხილავს საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენების საკითხს, ხსნის და თავმჯდომარეობს საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო მისი არყოფნის ან მის მიერ ამ მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარის უხუცესი მოადგილე.

12. მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 19. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები 1. საკრებულოს თავმჯდომარეს ჰყავს სამი მოადგილე, მათ შორის, პირველი მოადგილე. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (მათ შორის, პირველ მოადგილეს) თავის შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 36-ე მუხლის და ამ რეგლამენტის მე-20 მუხლით დადგენილი წესით ირჩევს საკრებულო.

2. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების (მათ შორის, პირველი მოადგილის) კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარეს. ერთი და იგივე კანდიდატურა შეიძლება დასახელდეს მხოლოდ ორჯერ.

3. საკრებულოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მისი პირველი მოადგილე ან საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით – მისი ერთ-ერთი მოადგილე.

4. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, მისი თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების, მისთვის საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მისი პირველი მოადგილე, ხოლო მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში – საკრებულოს თავმჯდომარის უხუცესი მოადგილე. თუ საკრებულოს თავმჯდომარის არცერთი მოადგილე არ არის არჩეული ან საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეთა მიერ უფლებამოსილების განხორციელება შეუძლებელია, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს საკრებულოს წევრთაგან უხუცესი.

5. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები ახორციელებენ ფუნქციებს ამ რეგლამენტის შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარის ან საკრებულოს დავალებით.

13. 23-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 23. საკრებულოს კომისიები და მისი პერსონალური შემადგენლობა

1. საკრებულოს კომისია არის საკრებულოს მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც იქმნება საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს, მერის სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული 7 პირების კონტროლის მიზნით. საკრებულო თავისი შეხედულებისამებრ ქმნის არაუმეტეს ხუთ კომისიას.

2. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება საკრებულოს არანაკლებ 3 წევრით. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

3. საკრებულოს კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება საკრებულოს ფრაქციათა წარმომადგენლობისა და საკრებულოს იმ წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც გაერთიანებული არ არიან არცერთ ფრაქციაში. საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობასა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს განსაზღვრავს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია და ამ რეგლამენტით დადგენილი წესით ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო, ხოლო

ახლადარჩეული საკრებულოს პირველ სხდომაზე საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს განსაზღვრავს სამანდატო დროებითი კომისია და ამტკიცებს საკრებულო.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საკრებულოს ბიუროს (მუნიციპალიტეტის საკრებულოს) მიერ საკრებულოს კომისიებში, საკრებულოს ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცებიდან 3 დღის ვადაში ფრაქცია თავისი გადაწყვეტილებით წარადგენს კომისიაში წევრებს.

5. საკრებულოს კომისიაში წევრის წარდგენის შესახებ საკრებულოს ფრაქციის გადაწყვეტილება ეცნობება საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას (მუნიციპალიტეტის საკრებულოს) და საკრებულოს ბიუროს. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია (მუნიციპალიტეტის საკრებულო) ამოწმებს ფრაქციის მიერ კომისიაში წევრის წარდგენის სისწორეს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს სათანადო რეაგირებას. ფრაქციის მიერ კომისიაში წარდგენილი წევრი კომისიაში დანიშნულად მიიჩნევა აღნიშნული ფაქტის საკრებულოს ბიუროს (მუნიციპალიტეტის საკრებულოს) მიერ ცნობად მიღების მომენტიდან. საკრებულოს წევრი, რომელიც გაერთიანებული არ არის არც ერთ ფრაქციაში, კომისიის წევრი ხდება ამ პუნქტით დადგენილი წესით, პირადი განცხადების საფუძველზე.

6. თუ საკრებულოს ფრაქციაში განხორციელებული ცვლილებები გავლენას ახდენს საკრებულოს კომისიაში ფრაქციათა პროპორციულ წარმომადგენლობაზე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია 1 (ერთი) კვირის ვადაში განსაზღვრავს და საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომაზე წარუდგენს პროპორციული წარმომადგენლობის ახალ კვოტებს.

7. საკრებულოს წევრი (გარდა საკრებულოს თავმჯდომარისა) ვალდებულია იყოს ერთი, მაგრამ არაუმეტეს ორი კომისიის წევრი. საკრებულოს თავმჯდომარე უფლებამოსილია ამ მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად იყოს საკრებულოს კომისიის/კომისიების შემადგენლობაში, მაგრამ ჯამში არაუმეტეს ორისა.

8. საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობას კოორდინაციას უწევს საკრებულოს ბიურო.

9. საკრებულოს კომისიებია:

ა) იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია; ბ) საფინანსო-საბიუჯეტო კომისია; გ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია; დ) ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია; ე) სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

14. 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეს საკრებულოს კომისიის შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი ირჩევს საკრებულო.

15. 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ) ნებისმიერ დროს გავიდეს კომისიის შემადგენლობიდან, რის თაობაზეც წერილობით უნდა აცნობოს საკრებულოს ფრაქციას, საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას;

16. 41-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 41. საკრებულოს ფრაქციები:

1. საკრებულოს ფრაქცია წარმოადგენს საერთო პოლიტიკური შეხედულების მქონე საკრებულოს წევრთა ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომელიც იქმნება საკრებულოში მათი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით.

ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ საკრებულოს წევრებს უფლება არა აქვთ, შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია.

3. საკრებულოს წევრი შეიძლება გაერთიანდეს მხოლოდ ერთ ფრაქციაში.

4. საკრებულოს ფრაქციაში არ უნდა იყოს საკრებულოს სამ წევრზე ნაკლები.

5. დაუშვებელია ეროვნული, ტერიტორიული ან სხვა კერძო ნიშნით (ეროვნული, რელიგიური, პროფესიული, პირადი ან ტერიტორიული ნიშნით) ფრაქციებად გაერთიანება.

6. ფრაქციას აქვს სახელი. ფრაქციას უნდა გააჩნდეს წესდება.

7. ფრაქციის წესდებით განისაზღვრება ფრაქციის შექმნისა და მის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის წესი, ფრაქციის ხელმძღვანელი ორგანოებისა და თანამდებობის პირების არჩევის წესი და კომპეტენცია, ფრაქციის წევრთა უფლებამოსილება, ფრაქციის მიზნები და ამოცანები, წესდებაში ცვლილებების შეტანის პროცედურა.

8. საკრებულოს წევრს უფლება აქვს ამ რეგლამენტით დადგენილი წესით გაერთიანდეს ფრაქციაში ან ნებისმიერ დროს გავიდეს ფრაქციიდან. ფრაქციას უფლება აქვს ფრაქციის წესდებით დადგენილი წესით მიიღოს ახალი წევრი ფრაქციაში ან ფრაქციიდან გარიცხოს წევრი.

მუხლი 42. ფრაქციის შექმნის პროცედურა

1. ფრაქცია რეგისტრაციამდე თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ფრაქციის თავმჯდომარეს, რომელიც ფრაქციის რეგისტრაციისათვის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას მიმართავს განცხადებით. განცხადებაში აღინიშნება ფრაქციის სახელწოდება, მისი თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების) და ფრაქციის წევრთა ვინაობა. განცხადება ხელმოწერილი უნდა იქნეს ფრაქციის ყველა წევრის მიერ. განცხადებას თან უნდა დაერთოს ფრაქციის მიერ მიღებული ფრაქციის წესდება.

2. ფრაქციის რეგისტრაციის საკითხს ახლად არჩეული საკრებულოს პირველ სხდომაზე დაუყოვნებლივ განიხილავს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია (ხოლო მუდმივი კომისიის შექმნამდე – დროებითი სამანდატო კომისია) და დასკვნას წარუდგენს საკრებულოს ბიუროს (საკრებულოს ბიუროს ფორმირებამდე, საკრებულოს თავმჯდომარეს). საკრებულოს პირველ სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარე ვალდებულია დროებითი 9 სამანდატო კომისიის დასკვნის წარდგენისთანავე დაუყოვნებლივ აცნობოს საკრებულოს სხდომას ფრაქციის დაფუძნების შესახებ. საკრებულო, საკრებულოს თავმჯდომარის ამ განცხადებას იღებს ცნობად კენჭისყრის გარეშე და ფრაქცია ითვლება რეგისტრირებულად. მოგვიანებით დაფუძნებული ფრაქციის რეგისტრაციისათვის, განცხადება და ფრაქციის წესდება გადაეცემა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია განცხადებისა და ფრაქციის წესდების წარდგენიდან 3 დღის ვადაში განიხილავს ფრაქციის დაფუძნების შესაბამისობას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30-ე მუხლის მოთხოვნებთან და საკრებულოს ბიუროს წარუდგენს შესაბამის დასკვნას. ახალი ფრაქციის შექმნის საკითხი შეიტანება საკრებულოს უახლოეს სხდომის დღის წესრიგში და განიხილება რიგგარეშედ. საკრებულო, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დადებითი დასკვნის შემთხვევაში დასკვნას იღებს ცნობად კენჭისყრის გარეშე და ფრაქცია ითვლება რეგისტრირებულად. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, საკრებულო ფრაქციის შექმნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრით. საკრებულოს მიერ ფრაქციის შექმნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში ფრაქცია ითვლება რეგისტრირებულად.

3. ფრაქციაში ახალი წევრის მიღების, ფრაქციიდან წევრის გასვლის ან გარიცხვის, ფრაქციის წესდებაში ცვლილების, ფრაქციის თავმჯდომარის შეცვლის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას. თუ ფრაქციიდან წევრთა გასვლის ან გარიცხვის შედეგად მასში გაერთიანებული დარჩა საკრებულოს 3 წევრზე ნაკლები, ფრაქცია ითვლება გაუქმებულად, რასაც საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია უახლოეს სხდომაზე აცნობებს საკრებულოს.

4. ფრაქციებს რეგისტრაციაში ატარებს საკრებულოს ბიურო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წარდგინებით. ფრაქციის რეგისტრაციისათვის საჭიროა ფრაქციის თავმჯდომარისა და ფრაქციაში გაერთიანებულ საკრებულოს წევრთა წერილობითი განცხადება და ფრაქციის წესდება.

5. საკრებულოს წევრთა გაერთიანება ფრაქციის სტატუს იძენს მისი რეგისტრაციის მომენტ იდან.

18. 43-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 43. ფრაქციის თანამდებობის პირები და საქმიანობის ორგანიზაცია

1. ფრაქციის უმაღლესი ორგანოა ფრაქციის სხდომა.

2. ფრაქციის ხელმძღვანელია ფრაქციის თავმჯდომარე. საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეს ჰყავს ფრაქციის ყოველ სამ წევრზე ერთი მოადგილე, მაგრამ არაუმეტეს შვიდისა.

3. ფრაქციის თავმჯდომარე: ა) ხელმძღვანელობს ფრაქციის საქმიანობას; ბ) წარმოადგენს ფრაქციას საკრებულოში; გ) წარმართავს ფრაქციის სხდომებს; დ) მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით წერილობით (ფრაქციის ტიტულიან ბლანკზე შესრულებული) მიმართოს მერიის თანამდებობის პირებს, სხვა ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებს; 10 ე) ახორციელებს კანონმდებლობით, ამ რეგლამენტითა და ფრაქციის წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. ფრაქციის თავმჯდომარის და ფრაქციის სხვა თანამდებობის პირების (ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, ფრაქციის მდივანი და სხვ.), უფლებამოსილების, არჩევის, გადარჩევის და ფრაქციის შიდა ორგანიზაციული მუშაობის საკითხები განისაზღვრება ფრაქციის წესდებით.

5. ფრაქციის სხდომის პერიოდულობა, სხდომის ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება ფრაქციის წესდებით.

6. ფრაქციის მიერ მიღებულ დოკუმენტებს ხელს აწერს ფრაქციის თავმჯდომარე.

19. 44-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 44. ფრაქციის სხდომა და მისი უფლებამოსილება

1. ფრაქცია თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სხდომების მეშვეობით.

2. საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანილ სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით საკითხის განხილვის დროს ფრაქცია უფლებამოსილია დანიშნოს გამომსვლელი, რომელიც საკრებულოს სხდომაზე წარმოადგენს ფრაქციის პოზიციას.

3. ფრაქციის წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან ფრაქციის გადაწყვეტილებით შეიძლება ჩატარდეს საჯარო ან დახურული სხდომა.

4. საკრებულოს ფრაქციას უფლება აქვს: ა) გამოსატოს და გაატაროს საკუთარი კურსი საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით; ბ) მიიღოს გადაწყვეტილება საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხის შესახებ ფრაქციის ერთიანი პოზიციის გამოხატვისა და სხდომაზე მომხსენებლის დანიშვნის თაობაზე; გ) მიიღოს გადაწყვეტილება ფრაქციების კოალიციასთან ან სხვა ფრაქციასთან გაერთიანების, ფრაქციის გაუქმების, ფრაქციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ; დ) ფრაქციის წესდებით დადგენილი წესით აირჩიოს და გადაირჩიოს ფრაქციის თანამდებობის პირები; ე) მიიღოს გადაწყვეტილება ფრაქციის საქმიანობის საკითხებზე; ვ) წარადგინოს კანდიდატები საკრებულოს თანამდებობის პირთა არჩევით თანამდებობაზე; ზ) გადაწყვიტოს ფრაქციის პროპორციული წარმომადგენლობითი კვოტების გამოყენების საკითხები; თ) მოამზადოს და საკრებულოს განსახილველად წარუდგინოს სამართლებრივი აქტის პროექტები; ი) საკრებულოს ყველა კომისიასა და დროებით სამუშაო ჯგუფში შეიყვანოს ფრაქციის ერთი წევრი მაინც; კ) მოითხოვოს ცალკეულ საკითხებზე დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა; ლ) შეკითხვით მიმართოს საკრებულოს მიერ შექმნილ ორგანოებს და საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებს; მ) საკრებულოს კომისიაში და საკრებულოს სხდომაზე გამოთქვას თავის მოსაზრება საკრებულოს მიერ ასარჩევ, დასაბამი, დასამტკიცებელ ან იმ კანდიდატურის თაობაზე, რომლის დანიშვნაზეც თანხმობას იძლევა საკრებულო; 11 ნ) წელიწადში ორჯერ, საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, საკრებულოს სხდომაზე გააკეთოს ფრაქციის ერთსაათიანი მოხსენება; ო) გამოაქვეყნოს თავისი თვალსაზრისი და მიმართვა თვითმმართველი ერთეულის ვებგვერდზე; პ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

5. ფრაქციის წარმომადგენელს საკრებულოს სხდომაზე გააჩნია სიტყვით გამოსვლის უპირატესი რიგითობა ფრაქციის გარეშე წევრთან შედარებით.

6. მერიის თანამდებობის პირი მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია დაესწროს ფრაქციის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

20. 44-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 441 და 442 მუხლები:

მუხლი 441 . საკრებულოს ორგანოებში ფრაქციის წარმომადგენლობა

1. საკრებულოს ორგანოებში საკრებულოს ფრაქციის წარმომადგენლობა განისაზღვრება ფრაქციაში გაერთიანებულ საკრებულოს წევრთა რაოდენობის პროპორციულად.

2. საკრებულოს ფრაქციის მიერ საკრებულოს ორგანოში ან საკრებულოს თანამდებობაზე წარდგენილი წევრი საქმიანობას წყვეტს ფრაქციის გაუქმების, მისი ფრაქციიდან გასვლის ან გარიცხვის, ფრაქციის მიერ მისი ამ ორგანოდან გაწვევის შესახებ განცხადების საკრებულოს ბიუროს მიერ ცნობად მიღების მომენტიდან. ფრაქციას უფლება აქვს, ახალი კანდიდატურა წარადგინოს.

3. თუ საკრებულოს ფრაქციის შექმნის, გაუქმების, ფრაქციაში წევრთა შესვლის, ფრაქციიდან წევრთა გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში ფრაქციაში განხორციელებული ცვლილებები გავლენას ახდენს ფრაქციათა პროპორციულ წარმომადგენლობაზე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია განსაზღვრავს პროპორციული წარმომადგენლობის ახალ კვოტებს.

4. საკრებულოს ფრაქციებისთვის პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების გაზრდის შემთხვევაში საკრებულოს ორგანოებში ფრაქციის წარმომადგენლობის პერსონალურ საკითხებს წყვეტს შესაბამისი ფრაქცია.

5. თუ საკრებულოს ფრაქციას შეუმცირდა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები, იგი ვალდებულია ხელახლა, ახალი კვოტების შესაბამისად წარადგინოს ფრაქციის

წევრები საკრებულოს შესაბამის ორგანოში.

მუხლი 442 . საკრებულოს უმრავლესობა და საკრებულოს ოპოზიცია

1. საკრებულოს ბიუროს წარედგინება საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ უმრავლესობის ხელმოწერებით დადასტურებული საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სია, რომელსაც იგი რეგისტრაციაში ატარებს. დაუშვებელია საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სიაში საკრებულოს რომელიმე ფრაქციის წევრთა ნაწილის შეყვანა.

2. საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სიაში მიეთითება საკრებულოს უმრავლესობის ლიდერი. საკრებულოს უმრავლესობის ლიდერი არ არის საკრებულოს თანამდებობა და შესაძლებელია ამ სტატუსის საკრებულოს თანამდებობასთან შეთავსება. საკრებულოს უმრავლესობის ლიდერი უზრუნველყოფს უმრავლესობაში შემავალი ფრაქციებისა და საკრებულოს უფრაქციო წევრთა მუშაობის საერთო პოლიტიკურ კოორდინაციას.

3. საკრებულოს ფრაქციას, უფრაქციო წევრს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს დატოვოს საკრებულოს უმრავლესობა. მისი დატოვების შესახებ იგი აცნობებს საკრებულოს იურიდიულ 12 საკითხთა და ეთიკის კომისიას. თუ საკრებულოს უმრავლესობაში შემავალი საკრებულოს წევრი საკრებულოს ოპოზიციაში შემავალ ფრაქციაში გაერთიანდა, იგი უმრავლესობიდან გასულად ჩაითვლება. შესაბამის ცვლილებას საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წარდგინებით რეგისტრაციაში ატარებს საკრებულოს ბიურო. საკრებულოს ბიურო რეგისტრაციაში არ გაატარებს შესაბამის ცვლილებას, თუ საკრებულოს უმრავლესობაში შემავალ საკრებულოს წევრთა რაოდენობა საკრებულოს სრული შემადგენლობის უმრავლესობაზე ნაკლები გახდა. ასეთ შემთხვევაში საკრებულოს უმრავლესობა დაშლილად ითვლება. საკრებულოს უმრავლესობის დაშლის შემდეგ საკრებულოს ბიუროს ამ მუხლით დადგენილი წესით წარედგინება საკრებულოს უმრავლესობის წევრთა ახალი სია, რომელსაც იგი რეგისტრაციაში ატარებს.

4. საკრებულოს უმრავლესობის წევრებს უფლება აქვთ, საკრებულოს ბიუროს ნებისმიერ დროს წარუდგინონ საკრებულოს უმრავლესობის წევრთა განახლებული სია. ეს სია ახლდება ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი წესით.

5. საკრებულოს ის წევრი, რომელიც არ შედის საკრებულოს უმრავლესობაში, განეკუთვნება საკრებულოს ოპოზიციას. საკრებულოს ოპოზიციის წევრთა სიას საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წარდგინებით, საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სიის რეგისტრაციის ან საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სიაში ცვლილების შეტანის შემდეგ უახლოეს სხდომაზე რეგისტრაციაში ატარებს საკრებულოს ბიურო.

21. 53-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საკრებულოს მუშაობის ორგანიზების მიზნით იქმნება საკრებულოს ბიურო (შემდგომში – ბიურო), რომლის შემადგენლობაში შედიან: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები.

22. 53-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. საკრებულოს ბიურო: ა) იღებს გადაწყვეტილებას საკრებულოს მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებზე, ადგენს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს; ბ) ადგენს საკრებულოს სამუშაო გეგმისა და სამუშაო პროგრამის პროექტებს; გ) კოორდინაციას უწევს საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობას; დ) ამტკიცებს (გარდა ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომისა) საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ განსაზღვრულ და წარდგენილ საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს; ე) ცნობდა იღებს საკრებულოს კომისიის შემადგენლობაში შეტანილ ცვლილებას; ვ) იღებს გადაწყვეტილებას საკრებულოში ინიცირებული სამართლებრივი აქტის პროექტის გამოქვეყნების, პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში და მერიაში დაგზავნის, სამართლებრივი აქტის პროექტზე ძირითადი კომისიის (კომისიების) განსაზღვრის, პროექტის განხილვის ვადების და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის სავარაუდო თარიღის შესახებ; ზ) განიხილავს საკრებულოს სხდომაზე გასატანი სამართლებრივი აქტების პროექტებზე საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების დასკვნებისა და წინადადებებს; თ) ისმენს ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირთა ანგარიშებს;

13 ო) იღებს გადაწყვეტილებას საკრებულოს კომისიებში ანაზღაურებად ექსპერტთა კვორტების შესახებ; კ) რეგისტრაციაში ატარებს საკრებულოს უმრავლესობის და საკრებულოს ოპოზიციის წევრთა სიას; ლ) ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ და ამ რეგლამენტით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

23. 57-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

6. საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარის და საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საკრებულოს რიგგარეშე სხდომას თავმჯდომარეობს საკრებულოს დამსწრე წევრთაგან უხუცესი.

24. 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საკრებულოს სხდომებს, როგორც წესი, წარმართავს საკრებულოს თავმჯდომარე, მისი არ ყოფნის შემთხვევაში ან მისი დაგალებით, საკრებულოს სხდომას წარმართავს საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – საკრებულოს თავმჯდომარის უხუცესი მოადგილე.

25. 98-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

6. საზოგადოებრივი დარბაზის სხდომას წარმართავს საკრებულოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.“

26. 102-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5. საკრებულოს ანგარიშის მოსმენის სხდომას წარმართავს საკრებულოს თავმჯდომარე ან საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.“

27. 121-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 121. საკრებულოს აპარატი

1. საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით შექმნილია საკრებულოს აპარატი, რომლის ფუნქციები და მუშაობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, ამ რეგლამენტითა და საკრებულოს აპარატის დებულებით.

2. საკრებულოს სხდომის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით საკრებულოს აპარატი:

ა) უზრუნველყოფს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის და სხდომაზე განსახილველი საკითხების პროექტების და სხვა საჭირო ინფორმაციის მომზადებას, გამრავლებას, გამოქვეყნებას და საკრებულოს წევრებისათვის მათ მიწოდებას; ბ) ადგენს მოწვეულ პირთა სიას და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მისი დამტკიცების შემდეგ უზრუნველყოფენ ამ პირთა გაფორმებას; გ) ახდენს საკრებულოს წევრთა რეგისტრაციას; დ) ეხმარება საკრებულოს სხდომის თავმჯდომარეს სხდომის წაყვანის პროცესში, სხდომაზე წესრიგის დაცვასა და სხდომის ტექნიკურ უზრუნველყოფაში; ე) უზრუნველყოფს საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების, საკრებულოს წევრების, კომისიების, ფრაქციების საქმიანობის ორგანიზაციულ, იურიდიულ, საინფორმაციო და მატერიალურ-ტექნიკურ მომსახურებას; ვ) საქართველოს კანონმდებლობისა და ამ რეგლამენტის 107-ე, 108-ე და 110-ე მუხლებით დადგენილი წესით უზრუნველყოფს საკრებულოს სხდომის ოქმის შედგენას, საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების გაფორმებას, გამოქვეყნებას და დაგზავნას.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ საკრებულოს ფრაქციების მხრიდან ცვლილებებთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებებიდან წარმოდგენილ პროექტში არც ერთი არ არის ასახული. კერძოდ, ამ ცვლილების ფარგლებში საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განსაზღვრებად საჭირო ხარჯთან მიმართებაში ამოღებულია საკრებულოს თავმჯდომარის ხელფასის 15% და რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში ერთნაირად განისაზღვრა 680 ლარი. საკრებულოს წევრის აზრით, კარგი იქნებოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს, შესაძლებლობის გათვალისწინებით, განესაზღვრა სადებუტატო უფლებამოსილების ხარჯი და მომხდარიყო აღნიშნული თანხის გარკვეული მატება. ეს არ იქნებოდა კანონდარღვევა, მით უმეტეს, რომ ახალი ცვლილებით 15%-ის

გათვალისწინება არ ხდება. ამასთან, საკრებულოს წევრების აქტიური და დატვირთული საქმიანობიდან გამომდინარე, სასურველია, მიზერულად მოხდეს მათთვის საწვავის ლიმიტის გამოყოფა. გარდა ამისა, საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ საკრებულოს წინა სხდომებზე მის მიერ ინფრასტრუქტურული კუთხით დაისვა სხვადასხვა საკითხები. ის დაინტერესდა, როდის მოხდება მათი მოწესრიგების მიზნით შესაბამისი რეაგირება.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ საუბარი მხოლოდ გურიის რეგიონზე არ არის, არამედ საქართველოს მასშტაბით სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯი განისაზღვრა 677,50 ლარით. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში, რომელიც არის პირველი კატეგორიის, საკრებულოს თავმჯდომარეების ხელფასი შედარებით მაღალია, შესაბამისად, სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯი უფრო მეტია. რაც შეეხება 15%-ს, მუნიციპალიტეტის მერია და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური წინააღმდეგი არ არის, მაგრამ დოკუმენტაცია უნდა იყოს სრულად მოწესრიგებული- სად, რა სხდომა და შეხვედრა ჩატარდა, რა ოდენობის თანხა დაიხარჯა, რასაც თან უნდა დაერთოს საწვავის ქვითრები. ყოველივე ეს ფიზიკურად ძალიან რთული მოსაწესრიგებელია. ეს პრობლემა მხოლოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არ დგას, არამედ, ქვეყნის მასშტაბით გასაკონტროლებელი და დასარეგულირებელია, მაგრამ თუკი საკითხისადმი ასეთი მიდგომა იქნება, მაშინ საკრებულოს წევრების უმრავლესობას გაუჭირდება ყოველდღიურად სათანადო დოკუმენტაციის შეგროვება, რომელსაც მერიის აუდიტის სამსახური ვერ დაუხარვეშებს.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ **კახაბერ ასკურავამ** ფრაქციის სახელით თანადგომა და სოლიდარობა გამოხატა უკრაინელი ხალხისადმი. ასევე, მწუხარება და თანაგრძნობა გამოთქვა უკრაინის ომში ქართველი მეომრების დაღუპვის გამო. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ ფრაქციის სხდომაზე საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარესთან ერთად განიხილეს ეს საკითხი. საწვავის ფასი კატასტროფულად გაზრდილია, არადა მის გარეშე საქმის კეთება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, გარკვეულ კონსესუსამდე უნდა მივიდნენ. საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს რეგლამენტთან დაკავშირებით პქონდა კონკრეტული მოთხოვნები და იმედი გამოთქვა, რომ ამ საკითხებზე ფრაქციებთან ერთად იმუშავენ, რათა საკრებულო გახდეს უფრო ქმედით უნარიანი.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N9 (25.03.2022)

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ მოქალაქეებმა თამაზ ჩხაიძემ, ნინო ბარამიძემ და სულხან პატარაიამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს განცხადებით მომართეს სხდომაზე სიტყვით გამოსვლასთან დაკავშირებით.

მოქალაქემ **თამაზ ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ნამდვილად მისასალმებელი ფაქტია ჩიბათის საჯარო სკოლისთვის ზაზა სულაბერიძის სახელის მინიჭება. მან მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობდა ამ პროცესში, განსაკუთრებით კი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს გიორგი ჩახვაძეს და სულხან პატარაიას და აღნიშნა, რომ დაახლოებით ოცდაშვიდი წლის წინ გაჩნდა ეს იდეა. გარდა ამისა, უახლოეს პერიოდში დაისმება საკითხი მე-3 საჯარო სკოლისთვის გმირულად დაღუპული ვაჟა თოდუას სახელის მინიჭების შესახებ. ამის შემდეგ მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში მრავალი წლის განმავლობაში არსებობდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, რომელიც ამჟამად აღარ ფუნქციონირებს. ზაზა სულაბერიძის შემოქმედება მხოლოდ ქანდაკებით და ხატვით არ შემოიფარგლებოდა და ფოტოგრაფიის ხელოვნება სწორედ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში შეისწავლა. ასევე, ათეულობით ბავშვი სხვადასხვა წრეში იყო გაერთინებული და ჩართული იყო შემოქმედებით თუ სხვადასხვა აქტივობებში. აქედან გამომდინარე, თამაზ ჩხაიძემ თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, დაისვას საკითხი მოსწავლე-ახალგაზრდობის

სახლის აღდგენასთან დაკავშირებით. მან ასევე აღნიშნა, რომ თავის დროზე საუბარი იყო ზაზა სულაბერიძის მუზეუმის გახსნის თაობაზე, რასთან დაკავშირებითაც იმ პერიოდში გამოიყო კომისია, რომლის დასკვნის მიხედვითაც, ისინი მუზეუმის შექმნის წინააღმდეგ წავიდნენ, დღეს კი ეს ადამიანები სამხატვრო სკოლაში მოღვაწეობენ. მისი აზრით, ეს საკითხი მოითხოვს გადახედვას.

მოქალაქემ **ნინო ბარამიძემ** სოფელ ჯუნეწრის მოსახლეობის სახელით მიმართა ადგილობრივ ხელისუფლებას და აღნიშნა, რომ იმავე სოფლის მკვიდრი, ეროვნული გმირი დავით ბოლქვაძე 1993 წელს აფხაზეთის ომში დაიღუპა, ხოლო 1994 წელს მიენიჭა ვახტანგ გორგასლის სახელობის მეორე ხარისხის ორდენი. სოფელ ჯუნეწერში იყო დავით ბოლქვაძის სახელობის სკოლა, რომელიც სიძველის გამო დაინგრა. თავის დროზე სკოლის ადგილზე მოეწყო სკვერი, რომელიც ამჟამად საჭიროებს რეაბილიტაციას. ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნაა, კეთილმოეწყოს აღნიშნული სკვერი და მიენიჭოს დავით ბოლქვაძის სახელი. ასევე სკვერში განთავსდეს მემორიალური დაფა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ **ნინო მშვიდლობაძემ** აღნიშნა, რომ დავით ბოლქვაძე, რომელიც იყო ამერიკის სააგენტოს „მსოფლიო ახალი ამბები“-ს ოპერატორი დასავლეთ საქართველოში, 1993 წელს აფხაზეთის ომში პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს დახვრიტეს. ნამდვილად მისასალმებელი და სასიკეთო საქმეა სკვერისთვის ეროვნული გმირის სახელის მინიჭება, რასთან დაკავშირებითაც დავით ბოლქვაძის ოჯახიც თანახმაა.

მოქალაქემ, **სულხან პატარაიამ** მადლობა გადაუხადა თითოეულ ადამიანს, ვინც მხარი დაუჭირა სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლისთვის ზაზა სულაბერიძის სახელის მინიჭებას და მონაწილეობა მიიღო ამ პროცესში, რადგან ოცდაშვიდი წლის წინ გაჩნდა ეს იდეა და დღეს იგი განხორციელდა. ამის შემდეგ მან აღნიშნა, რომ ზაზა სულაბერიძე პროფესიული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ წავიდა ავღანეთში საბრძოლველად, რის შედეგადაც დაწერა წიგნი „მოტყუებული ბიჭები“. ავღანეთიდან ჩამოსვლის შემდეგ ის ჩაირიცხა სამხატვრო აკადემიაში და ასევე იყო ანსამბლ „გორდა“-ს წევრი. აფხაზეთში განვითარებული მოვლენების შემდეგ წავიდა აფხაზეთის ომში, სადაც მძიმედ დაიჭრა, რის გამოც ჯანმრთელობა ძალიან შეერყა, რამაც გამოიწვია მისი გარდაცვალება. სულხან პატარაიამ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ჩიბათის სკოლის პედაგოგებს და აკადემიურ საბჭოს ამ იდეის განხორციელებაში მონაწილეობისა და მხარდაჭერისთვის.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქციამ „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ მოუსმინა მუნიციპალიტეტის ყველა ა(ა)იპ-ის. ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია ვებ-გვერდზეც განთავსდა, რისთვისაც მან საკრებულოს აპარატს მადლობა გადაუხადა. მისი განცხადებით, ხელფასების მატება არც ერთ ა(ა)იპ-ში არ მომხდარა, მხოლოდ ა(ა)იპ ლანჩხუთის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის თანამშრომლებითვის ხდებოდა ყოველწლიურად შრომითი ანაზღაურების მცირედით მატება, გარდა 2020 წლისა. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, როდის დასრულდება ა(ა)იპ-ებში რეორგანიზაცია. მან ასევე ფრაქციის სახელით ინიციატივით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ თუკი ამის ფინანსური შესაძლებლობა იქნება, ა(ა)იპ-ს თანამშრომლებს ხელფასი გაეზარდოთ 30-50%-ს ფარგლებში. ამასთან, მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოადგინოს საკუთარი ხედვა. თუკი მიმდინარე წელს ვერ მოხდება შრომითი ანაზღაურების მატება, ამ შემთხვევაში უნდა გაგრძელდეს ამ მიმართულებით ერთობლივი მუშაობა, რათა მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტზე მუშაობის პროცესში აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული იქნას. საკრებულოს წევრი ასევე შეეხო მუნიციპალური ტრანსპორტის თემას და აღნიშნა, რომ ეს საკითხი მოსაწესრიგებელია.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ სკოლამდელი დაწესებულების თანამშრომლებს ხელფასი მოემატათ 2020 და 2021 წლებში, ასევე 2022 წლის იანვრის თვეში და კიდევ მიმდინარეობს ამ კუთხით მუშაობა. რაც შეეხება რეორგანიზაციას, რამდენიმე ა(ა)იპ-ში ეს პროცესი დასრულდა და მოხდა ხელფასების

მატება 10-20%-ით. დანარჩენ ა(ა)იპ-ებში კი რეორგანიზაცია მიმდინარეობს და გარკვეული პროცესების საბოლოო განხილვის შემდეგ დასრულდება. მუნიციპალურ ტრანსპორტთან დაკავშირებით, მერმა განმარტა, რომ მძღოლები გათავისუფლებულია ყოველგვარი გადასახადისგან და ადგილობრივ ბიუჯეტში მათ მიერ არანაირი შემონატანი არ იქნება. ისინი იმყოფებიან მუნიციპალურ ბალანსზე და თუკი მუნიციპალიტეტის მხრიდან რაიმე ხელშეწყობა გახდება საჭირო, ეს აუცილებლად გაკეთდება.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ **ნინო მშვიდლობაძე** გააუღერა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით შემოქმედებითი კონკურსის „მთიები“-ის ფარგლებში ტარდება ლიტერატურული კონკურსი, რომლის თემა გახლავთ „9 აპრილიდან - 9 აპრილამდე“. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 14-29 წლამდე ახალგაზრდებს. არის როგორც ფულადი, ასევე, საკმაოდ კარგი პრიზები. ინფორმაცია ამის შესახებ გავრცელდა როგორც პრესის, ასევე სოციალური ქსელის საშუალებით.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძე** ყურადღება გაამახვილა ქუჩის ძაღლების თემაზე და აღნიშნა, რომ ამ კუთხით ქალაქში ძალიან ცუდი მდგომარეობაა. მიუსაფარი ცხოველები საკონდიტროების, ბაზრების და სუპერმარკეტების სიახლოვეს ორგანიზებულად თავს ესხმიან პროდუქტიან მოქალაქეებს. არადა, 2015 წლის 27 თებერვალს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიღებული აქვს დადგენილება ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობაზე. დადგენილების არც ერთი პუნქტი არ არის შესრულებული. ერთადერთი, რაც ბოლო წლებში განხორციელდა არის ის, რომ ძაღლებს აქვთ ნომრიანი ბირკები. ამის შემდეგ მან აღნიშნა, რომ ფრაქციის სხდომაზე დაისვა საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ საკრებულოს სხდომაზე მუნიციპალიტეტის მერს მოეწოდებინა ინფორმაცია უკრაინაში გაგზავნილი ჰუმანიტარული დახმარების შესახებ. კერძოდ, აინტერესებთ ამ კუთხით სარეზერვო ფონდის ხარჯვითი ნაწილი, არის თუ არა შტაბი შექმნილი და ვინ ხელმძღვანელობს. ასევე, რა პროდუქცია იქნა შემოსული და სად გაიგზავნა.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **კახაბერ ასკურავა** შეეხო უკრაინაში ჰუმანიტარული დახმარების თემას და აღნიშნა, რომ მან უარი თქვა პარტიის სახელით ასეთი ტვირთის შეგროვებაზე, რადგან მისი მოტივაციაა ის, რომ ჰუმანიტარული დახმარება გაიგზავნოს არა პარტიული, არამედ ლანჩხუთის სახელით. მუნიციპალიტეტს ჰყავს დამეგობრებული ქალაქი ნოვა კახოვკა და საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ ამ საკითხთან ერთიანი მიდგომა გაცილებით კარგი იქნება.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ მიუსაფარ ძაღლებთან დაკავშირებით ნამდვილად კატასტროფული მდგომარეობაა. მიდის მუშაობა, რომ იქნებ გაკეთდეს მუნიციპალური თავმესაფარი, რაც საკმაოდ დიდ სახსრებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ეს საკითხი აუცილებლად იქნება მოწესრიგებული. ამ ეტაპისთვის ხდება ძაღლების გაყვანა, აცრა, სტერილება და უკან დაბრუნება. ჯერჯერობით სხვა ღონისძიების გატარება მუნიციპალიტეტს არ შეუძლია. ისეთ სიტუაციას, როცა ძაღლი გაყვანილი იქნა მუნიციპალიტეტიდან და არ დაბრუნდა, არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან მოყვა ძალიან დიდი გამოხმაურება და საჩივარი. ცხოველთა დამცველი ორგანიზაციის მიერ ოფიციალურად მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით, ერთი ძაღლის მოვლა-პატრონობა წლის განმავლობაში საშუალოდ 28000 ლარი ჯდება. გარდა ამისა, შესამუშავებელია მოსახლეობის მაქსიმალურად ჩართულობასთან დაკავშირებით გეგმა, რაზეც უკვე დაწყებულია მუშაობა. ასევე, უნდა მოხდეს ძაღლების ნუმერაცია, რომელიც ჰყავთ ოჯახებში და იმ შემთხვევაში, თუკი ცხოველი აღმოჩნდება ქუჩაში, პატრონს დაეკისრება შესაბამისი სანქცია.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ კახეთის რეგიონში ამ საკითხთან დაკავშირებით აქვთ ძალიან კარგი მიდგომა, რომლის მიხედვით ყველა მუნიციპალიტეტი თანაბრად აფინანსებს ამ

პროგრამას. ანალოგიურად, სრულიად შესაძლებელია, გურიის რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტმა ერთობლივად დაიწყოს ამ საკითხის მოგვარება.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ჰქონდა კოლეგებთან ამის შესახებ საუბარი, მაგრამ საკითხის საბოლოოდ მოწესრიგების კუთხით მოსახლეობის ჩართულობის გარეშე ნამდვილად ვერ გაწვდებიან რეალური შედეგის განხორციელებას, რასაც დაეთანხმა საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე და იქვე აღნიშნა, რომ ყოველივე ამასთან ერთად აუცილებელია საკანონმდებლო ინიციატივის გამკაცრება.

მუნიციპალიტეტის მერმა უკრაინაში გაგზავნილ ჰუმანიტარული დახმარებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 10 000 ლარი, რომლითაც შეძენილი იქნა სამედიცინო დანიშნულების საქონელი, რასთან დაკავშირებითაც ხელშეკრულება გაფორმდა „მედალფასთან“. ასევე, გაიგზავნა არაფუჭებადი საკვები პროდუქტები. პირველი ეტაპისთვის მუნიციპალიტეტიდან გაიგზავნა დაახლოებით 1,6 ტონა ტვირთი. გურიის რეგიონში შეგროვებული ჰუმანიტარული დახმარება გამიზნული იყო ზოგადად, უკრაინისთვის და არა რომელიმე კონკრეტული ქალაქისთვის. მუნიციპალიტეტში შტაბი შექმნილია და ხელმძღვანელობს მერის პირველი მოადგილე ეკატერინე გუჯაბიძე. ასევე, დაწყებულია მეორე ეტაპის ტვირთის შეგროვება და თუ მუნიციპალიტეტის მხრიდან იქნება ინიციატივა, სრულიად შესაძლებელია ჰუმანიტარული დახმარება გაიგზავნოს დამეგობრებულ ქალაქ ნოვა კახოვკაში. რაც შეეხება ტანსაცმელს, იგი დიდი რაოდენობითაა შეგროვებული და მათი გაგზავნა მოხდება ცალკე. მისი განცხადებით, ასევე შექმნილია სახაზინო ფონდი, მაგრამ თანხის ჩარიცხვა არ მომხდარა, არამედ სოფლებიდან, ბიზნესმენებიდან მოწოდებული იქნა სხვადასხვა სახის მედიკამენტი, ჰიგიენური საშუალება და საკვები პროდუქტი. ამაში ასევე ჩართულები იყვნენ საჯარო მოხელეებიც. მუნიციპალიტეტის მერმა მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობა მიიღო აქციაში. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ აქტიურად გრელდება ტვირთის შეგროვება და კარგი იქნება, თუკი გაერთიანდებიან და ჩაერთვებიან როგორც რიგითი მოქალაქეები და არა, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირები.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვერიკო კვირკველიამ** პირველ რიგში სოლიდარობა გამოუცხადა მოძმე უკრაინელ ერს, რის შემდეგ ყურადღება გაამახვილა მუნიციპალურ ტრანსპორტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის სოფლების იმ მოსახლეობას, ვინც დასაქმებულები არიან ლანჩხუთში და არ ჰყავთ საკუთარი სატრანსპორტო საშუალება, პრობლემები ექმნებათ სამსახურში დროულად გამოცხადებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მათი თხოვნაა, მოწესრიგდეს მუნიციპალური ტრანსპორტის განრიგი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წინა წლებში მოწვეული იყვნენ და ესაუბრნენ მძღოლებს. ზოგიერთი საკითხი მოგვარდა, მაგრამ გარკვეული პრობლემა კვლავ მოსაწესრიგებელია. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ კიდევ ერთხელ შეხვდნენ მძღოლებს, რათა ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდეს.

საკრებულოს წევრი **კახა თედორაძე** დაინტერესდა სუფსა-წყალწმინდის გზასთან დაკავშირებით თუ რა მდგომარეობაა და რა ვადებში შეიძლება გადაწყდეს ეს საკითხი. ასევე, როგორი სიტუაციაა სოფელ ორმეთის წყალმომარაგებასთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, პროექტი არის დახარვეზებული და მიმდინარეობს დაკორექტირება. ზოგიერთი ხარვეზი გამოსწორებულია. პროცესში ჩართულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ერთი განყოფილება, რომელთა განცხადებითაც გარკვეული საკითხები სტანდარტებს არ შეესაბამება. პროექტის ავტორი დაუკავშირდა საპროექტო ჯგუფს, ასევე ადგილზე იყო ჩასული მერის მოადგილე ამ საპროექტო ჯგუფთან ერთად და განიხილეს შენიშვნები. ვარაუდობენ, რომ ორი კვირის ვადაში დასრულდება პროექტის შესწორება. რაც შეეხება დაფინანსებას, შესაბამისი უწყებების მხრიდან არის დაპირება, რომ ამ მხრივ პრობლემა არ იქნება. საავტომობილო გზების დეპარტამენტი გამოაცხადებს ტენდერს. მოვლ-

პატრონობასთან დაკავშირებით საუბარია ჯერჯერობით იმაზე, რომ გადმოეცემა მუნიციპალიტეტს, მაგრამ მათი სურვილია, რომ დარჩეს საავტომობილო გზების დეპარტამენტს. სავარაუდოდ, ამ კვირის ბოლოს გამოცხადდება ტენდერი. რაც შეეხება სოფელ ორმეთის წყალმომარაგებას, მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, უნდა შეხვედროდა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელს, მაგრამ გარკვეული პრობლემების გამო ფიზიკურად ეს ვერ მოახერხა. გარდა ამისა, საკითხთან დაკავშირებით, გაგზავნილია წერილობითი შეტყობინება. დაპროექტების დროს რატომღაც ერთი სოფელი - დაახლოებით 84 ოჯახი - გამორჩენილია, რის შესახებაც დეტალური ინფორმაცია მიეწოდა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელს. ზოგადად, პროექტი დაკავშირებულია საკმაოდ დიდ თანხებთან, რაც საერთო ჯამში 27-28 მლნ-ის ფარგლებშია. მუნიციპალიტეტის მერს მიაჩნია, რომ საკითხი საბოლოოდ დადებითად გადაწყდება.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ** მიმართა მუნიციპალიტეტის მერს იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქის ცენტრში, სადაც წრიული მოძრაობაა და ამჟამად მიმდინარეობს ქვაფენილების დაგება, იყო მოთხოვნა, რომ პროექტში გათვალისწინებული ყოფილიყო სარკის დამონტაჟება, რადგან გამომავალი სატრანსპორტო საშუალება არ ჩანს, რაც ქმნის საავარიო სიტუაციას.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განცხადებით, მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით წინა დღეებში გააგზავნა ყველა ობიექტთან შენიშვნების წერილი, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტი ფიზიკურად არ დათანხმდება სამუშაოების იმ პირობით შესრულებას, როგორც სახითაც ახლა მიმდინარეობს. ჯერჯერობით, მიმდინარეობს მუშაობა, რათა აღმოიფხვრას არსებული ხარვეზები. რაც შეეხება სარკეს, ამ პროექტში გათვალისწინებული არ არის, მაგრამ ამ საკითხის მოგვარება, სავარაუდოდ, პრობლემა არ იქნება.

საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გოჩა ჯანაშიამ** ყურადღება გაამახვილა მუნიციპალიტეტში სამუსიკო სკოლის პედაგოგების ანაზღაურებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სამუსიკო სკოლის პედაგოგების ანაზღაურება, რომელთა სრული განაკვეთი ყოველთვიურად 16 საათია, შეადგენს 384 ლარს, მაშინ როცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ანალოგიური დატვირთვის პირობებში არის 240 ლარი. მისთვის სრულიად გაუგებარია საკითხისადმი ასეთი მიდგომა. საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ ასევე აღნიშნა, რომ ახლოვდება საფეხბურთო სეზონი. აქედან გამომდინარე, მას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ გუნდის ხელმძღვანელობასთან მოხდეს შეხვედრა ან მათ ჩაატარონ ბრიფინგი, სადაც გასცემენ დაწვრილებით და ამომწურავ ინფორმაციას კლუბის სამომავლო გეგმების, მიზნების და ზოგადად, გუნდთან არსებული სიტუაციის შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტა, რომ ეს საკითხი უახლოეს დღეებში უკვე მოწესრიგდა, რასთან დაკავშირებითაც სკოლის პედაგოგებმა გამოთქვეს კმაყოფილება. საფეხბურთო კლუბთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ უახლოეს დღეებში დაბარებული ჰყავთ გუნდის ხელმძღვანელი და საბოლოოდ ჩამოყალიბდება კლუბთან მიდგომა. ამ ეტაპისთვის ვერ მოხერხდა კლუბის შეფასება, რადგან დაქირავებული აუდიტი გარდაიცვალა და სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს ვერ მიეწოდა სათანადო დოკუმენტაცია. მას საუბარი ქონდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერთან და შესაბამის სამსახურთან, რადგან მათი გუნდიც ანალოგიურ სიტუაციაში იმყოფებოდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ შ.პ.ს-ედ გადაკეთების მომენტში წყალტუბოს კლუბს არანაირი ვალდებულება არ ჰქონდა. სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ წყალტუბოს კლუბის შეფასების შემდეგ მოხდა მისი გატანა აუქციონზე. ხელშეკრულებში ჩაიდო პირობა, რომ გამარჯვებულ კომპანიას აქვს ვალდებულება წლის განმავლობაში გუნდს დაახარჯოს ნახევარი მლნ. ლარი. ამასთან, ყოველ ექვს თვეში დოკუმენტურად კეთდება გახარჯული თანხის სრული ანალიზი, რის შესახებაც

მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს ბარდება დეტალური ანგარიში. ამ პირობის შესრულების გათვალისწინებით, სპონსორს გუნდი სამუდამოდ აქვს მიცემული, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი ვერ მოხდება აღნიშნული თანხის დახარჯვა, კომპანიას ავტომატურად შეუწყდება ხელშეკრულება და გუნდი ჩამოერთმევა. ლანჩხუთის „გურია“-ს შემთხვევაში მუნიციპალიტეტი გუნდის ხელმძღვანელობას ხელფასს არ უხდის. ამასთან, კლუბის გადაცემის შემთხვევაში, ეს პიროვნებები იღებენ ვალდებულებას, ხელშეკრულებაში ჩაიწეროს თანხა ერთი მლნ. ლარის ოდენობით, რომელიც გუნდს მოხმარდება წლის განმავლობაში. მხოლოდ დარჩენილია რაღაც პროცედურები, რომლებიც უახლოეს დღეებში გაირკვევა და არჩეული იქნება კონკრეტული მიმართულება, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაირღვეს ეს ლაბირინთი.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

